

„ტურიზმისა და კურორტების მინისტრის პრეს-კონფერენცია“

2018 წლის მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატის ჩატარების დროს უსაფრთხოების ზომები გამკაცრდება. ამის შესახებ, ოკუპირებული აფხაზეთის კურორტებისა და ტურიზმის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა, ასტამურ ახბამ, 25 აპრილს გამართულ პრეს-კონფერენციაზე ისაუბრა.

კერძოდ, ასტამურ ახბას თქმით, ჩემპიონატის ჩატარების პერიოდში შეიზღუდება რუსეთ-აფხაზეთის ე.წ. საზღვარზე ავტოტრანსპორტის გადაადგილება.

ე.წ. მინისტრის განცხადებით, აღნიშნული უსაფრთხოების ზომები იმოქმედებს 1 ივნისიდან 17 ივლისამდე. ასტამურ ახბამ დამატა, რომ შეზღუდვები შეეხება მხოლოდ D (ავტობუსები) კატეგორიის ავტოტრანსპორტს და მსუბუქ ავტომობილებზე შეზღუდვები არ გავრცელდება.

ასტამურ ახბამ ხაზგასმით აღნიშნა, „რუსეთის ტურისტული ორგანიზაციები აფხაზ პარტნიორებთან თანამშრომლობის ფარგლებში გვაწვდიან ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა დოკუმენტებია საჭირო რუსეთ-აფხაზეთის საზღვრის გადასაკვეთად. 30 აპრილს დაგეგმილია ქ.სოჭის ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან შეხვედრა“.

25.04.2018 იხ. რუსულენოვან ვებგვერდზე <https://aiaaira.info/ekonomika/item/116-astamyr-akhba-soobshchil-ob-usilenii-mer-bezopasnosti-v-period-provedeniya-chm-po-futbolu-2018>

„ხორცპროდუქტების ახალი საწარმო გულრიფშის რაიონში“

ოკუპირებული აფხაზეთის ეკონომიკის სამინისტროს და ე.წ. სახელმწიფო საინვესტიციო სააგენტოს წარმომადგენლები გულრიფშის რაიონში ე.წ. საინვესტიციო პროექტის რეალიზაციის პროცესს გაეცნენ.

ე.წ. ეკონომიკის მინისტრის მოადგილის მოვალეობის შემსრულებლის, ზაურ გულიას, ინფორმაციით, ხორცის გადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობა ხორციელდება საშუალო და მსხვილი ბიზნესისთვის შეღავათიანი სესხის პროგრამის მეშვეობით. აღნიშნული პროექტი ხორციელდება ქ. მოსკოვის საინვესტიციო სააგენტოსთან თანამშრომლობის ფარგლებში.

ზაურ გულიას თქმით, აღნიშნულ საწარმოში 34 ადამიანი დასაქმდება და წარმოებული პროდუქცია ადგილობრივ ბაზარზეა ორიენტირებული.

ე.წ. სახელმწიფო საინვესტიციო სააგენტოს დირექტორის, ინარ გიცბას, თქმით, პროექტის საერთო ღირებულება 55 000 000 რუბლს შეადგენს.

„2018 წლის აგვისტოში ქარხნის მშენებლობის დასრულებას და ექსპლუატაციაში გაშვებას ვგეგმავთ. ვაპირებთ, შევლოილი ხორცპროდუქტების, მოხარშული ძეხვის, სოსისებისა და სარძელების წარმოებას“- განაცხადა პროექტის ინიციატორმა, რუსლან ანქვაბმა.

25.04.2018 იხ. რუსულენოვან ვებგვერდზე <http://mineconom-ra.org/ru/news/715/>

„ადგურ არძინბამ საკურორტო სეზონზე ისაუბრა“

„აფხაზური ვიზები ყველაზე ლიბერალურია“-ამის შესახებ, ოკუპირებული აფხაზეთის ეკონომიკის მინისტრმა იალტის მე-4 ე.წ. საერთაშორისო ეკონომიკურ ფორუმზე განაცხადა.

ადგურ არძინბას განმარტებით, ვიზებთან მიმართებაში, ოკუპირებულ აფხაზეთში, სხვა ქვეყნებთან შედარებით, ლიბერალური დამოკიდებულებაა. ვიზის მიღების მსურველმა, საკმარისია განაცხადით მიმართოს დე-ფაქტო საგარეო უწყების ვებგვერდს და მოთხოვნა მოკლე ვადაში დაკმაყოფილდება.

ე.წ. მინისტრის თქმით, ოკუპირებულ აფხაზეთში არ ფუნქციონირებს აეროპორტი და ტურისტები სოჭის აეროპორტით სარგებლობენ, რომლისგანაც რამოდენიმე კილომეტრშია განლაგებული რუსეთ-აფხაზეთის ე.წ. საზღვარი და დაამატა, რომ ტურისტებს ე.წ. რესპუბლიკაში მოხვედრა სარკინიგზო და საავტომობილო ტრანსპორტით შეუძლიათ.

დასვენების მსურველებს ადგურ არძინბამ შეახსენა, რომ ოკუპირებულ აფხაზეთში ყველა ფლობს რუსულ ენას და მიმოქცევაშია რუსული რუბლი, რაც განსაკუთრებით კომფორტულს ხდის რუსი ტურისტების დასვენებას.

26.04.2018 იხ.რუსულენოვან ვებგვერდზე <https://sputnik-abkhazia.ru/Abkhazia/20180426/1023773316/abxazskievizy.html>

„სოხუმის საკრებულოს თავმჯდომარის ინტერვიუ“

ოკუპირებული სოხუმის საკრებულოს ე.წ. თავმჯდომარე, კონსტანტინე ფილია, გამოვიდა წინადადებით, „იმ ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებმაც ცნეს აფხაზეთის დამოუკიდებლობა მიეცეთ ქ.სოხუმში მშენებარე ბინების შეძენის უფლება“.

კონსტანტინე ფილიას თქმით, ყველას უნდა უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე უძრავი ქონების მიყიდვა, მაგრამ ხმამაღლა ამაზე არავინ არ საუბრობს.

სოხუმის დე-ფაქტო საკრებულოს თავმჯდომარის აზრით, „შეიძლება დავუშვათ მშენებარე ბინების მიყიდვა, აფხაზეთის მოქალაქეობის მინიჭების გარეშე, იმ ქვეყნის მოქალაქეებზე, რომელთაც ცნეს აფხაზეთის დამოუკიდებლობა. აუცილებელია, რომ მშენებარე ბინის ყიდვის მსურველმა უნდა გაიაროს სპეციალური შემოწმება შესაბამის ორგანოებში“.

კონსტანტინე ფილიას თქმით, მშენებარე ბინების უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე მიყიდვის თემამ, სოხუმის ე.წ. საკრებულოს დეპუტატებს შორის, გამოიწვია დისკუსია და ვნებათაღელვა.

დე-ფაქტო საკრებულოს თავმჯდომარის განცხადებით, საუბარია მშენებარე ბინებზე ქ.სოხუმის ისეთ მცირედასახლებულ რაიონებზე, როგორცაა ჩანბას ქუჩა და შუქურას დასახლება.

კონსტანტინე ფილიამ ისიც განმარტა, თუ რატომაა აუცილებელი მისი წინადადების დაკმაყოფილება. მისი თქმით, „ეს იდეა შემდეგნაირად წარმოიშვა. მოვისმინეთ ქალაქის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ანგარიში. ყველაზე მძიმე მდგომარეობა საბინაო სამმართველოში გვაქვს. გვყავს 2 500 ადამიანი, რომლებიც ბინის მიღების რიგში დგას და მათი საცხოვრებლით დაკმაყოფილების არანაირი პერსპექტივა არ გაგვაჩნია. იწყებოდა ასე, ნებართვას ვაძლევდით მრავალბინიანი სახლების მშენებლობის ნებისმიერ მსურველს. შემდეგ, გაშენებული სახლებიდან რამოდენიმე ბინა ეძლეოდა საბინაო სამმართველოს მოწყვლადი პირებისთვის გადაცემის მიზნით. დღევანდელი დღისთვის, გარდა კერძო სამშენებლო კომპანიისა, არანაირი შანსი იმისა, რომ სახელმწიფო ან ქალაქის ადმინისტრაცია ააშენებს სოციალურ საცხოვრებელს, არ არსებობს“.

სოხუმის დე-ფაქტო საკრებულოს თავმჯდომარის აზრით, მოცემული საკითხი უნდა განიხილოს რუსეთის ფედერაციის ხელმძღვანელობასთან „პირდაპირი“ დიალოგის გზით.

26.04.2018 ვრცლად იხილეთ რუსულენოვან ვებგვერდზე <https://sputnik-abkhazia.ru/Abkhazia/20180426/1023774315/piliya-prodazhe-zhilya-inostrancam.html>

„აფხაზეთის საზოგადოებრივ პალატაში 2018 წლის საკურორტო სეზონთან დაკავშირებული საკითხები განიხილეს“

2018 წლის 26 აპრილს, ქ. სოხუმში, ოკუპირებული აფხაზეთის საზოგადოებრივ პალატაში შეხვედრა მოეწყო, რომელზეც განიხილეს 2018 წლის საკურორტო სეზონთან დაკავშირებული საკითხები.

შეხვედრას ესწრებოდნენ, დე-ფაქტო კურორტებისა და ტურიზმის, შს სამინისტროს, ე.წ. სეს-ის და ე.წ. მიგრაციის სახელმწიფო სამსახურის წარმომადგენლები.

დე-ფაქტო კურორტებისა და ტურიზმის მინისტრის მოადგილის ასტამურ ახბას განცხადებით, მიმდინარე საკურორტო სეზონში, ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე იფუნქციონირებს 350 ტურისტული ობიექტი, რომელთაგან ზოგიერთი გულრიფშის და ოჩამჩირეს რაიონშია განლაგებული რომლებიც გადასახადებს ე.წ. სახელმწიფოს ბიუჯეტში გადაიხდის.

ე.წ. შეხვედრაზე, მოხსენებით გამოვიდა დე-ფაქტო შს მინისტრის მოადგილე ლევან კვარაცხელია, რომლის განმარტებით, „2018 წლის საკურორტო სეზონისთვის შსს-ში შედგენილია სამოქმედო გეგმა. ჩვენ მოვნიშნეთ ყველა საკურორტო მარშრუტი, სადაც უსაფრთხოების ზომები გასაძლიერებელია. ყოველდღიურად შსს-ს ქვეითი და საავტომობილო საპატრულო ეკიპაჟების 1 000 თანამშრომელი ახორციელებს მართლწესრიგის დაცვას აფხაზეთის საკურორტო ქალაქებში“. ე.წ. შს მინისტრის მოადგილემ დაამატა, რომ, 2017 წლის საკურორტო სეზონში, დარეგისტრირდა ტურისტების წინააღმდეგ ჩადენილი 90 დანაშაული, რომელთაგან გახსნილი იყო 43.

აგრეთვე, ე.წ. შეხვედრაზე, სიტყვით გამოვიდნენ, „აფხაზეთის ტურიზმის კავშირის, ე.წ. ხელმძღვანელი ანა კალიაგინა და ე.წ. მთავარი სახელმწიფო სანიტარული ექიმი ლუდმილა სკორიკი.

26.04.2018 ვრცლად იხ. რუსულენოვან ვებგვერდზე <http://www.apsnypress.info/news/v-obshchestvennoy-palate-obsudili-gotovnost-k-kurortnomu-sezonu/>